ოქმი №3

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2024 წლის 2 აპრილს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. წურწუმია, ე. ოდიშარია, ლ. ჯინორია, ბ. კალანდარიშვილი, ზ. ყურაშვილი, ბ. შარტავა, გ. ოდიშარია, ბ. ნარმანია, მ. მირცხულავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: ს. ოდიშარია; სამანდატო საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ი. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - მანანა გვიჩია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. წურწუმია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-9 ქუჩის, I და II ჩიხისათვის სახელის გადარქმევის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-9 ქუჩის, I და II ჩიხისათვის სახელის გადარქმევის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2024 წლის 12 მარტს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის შაქრო კოკაიას მიერ შემოსულია განცახება (სარეგისტრაციო №41-41240721) რის საფუძველზეც 2024 წლის 1 აპრილს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები შეხვდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გახომელას მე-9 ქუჩის, I და II ჩიხის მცხოვრებლებს. მოსახლეობასთან შეხვედრისას ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, დააფიქსირეს თავიანთი აზრი ქუჩის სახელის გადარქმევასთან

დაკავშირებით, მათ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი გახომელას მე-9 ქუჩის I და II ჩიხს გადაერქვეს სახელი და ეწოდოს ამავე ქუჩაზე გაზრდილი და ავღანეთში გმირულად დაღუპული კაპრალის **,,გივი ფანცულაიას** " სახელი.

აზრი გამოთქვეს: მ. ფირცხალავამ; გ. წურწუმიამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მომზადდეს განკარგულების პროექტი და დასკვნა რათა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს. განკარგულება გადაიგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით, შემდეგ სამთავრობო კომისიაში დადებითი დასკვნის მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე: გიგა წურწუმია